

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის

ანგარიში

სამხედრო სამსახურში არის 6 საშტატო ერთეული, სამსახურის უფროსი, ხუთი მთავარი სპეციალისტი. სამსახურს აქვს ერთი „ფორდი“-ს ტიპის მიკროავტობუსი სახ. ნომრით BBM-054.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაო.

1. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად იანვარ-აპრილში ჩატარდა მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა. პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 1999 წელს დაბადებული 453 ჭაბუკი.
2. 2016 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელვაჩაურის სამოქალაქო რეესტრიდან გამოთხოვილი იქნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სიები. ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სასწავლო დაწესებულებებიდან 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სიები მიუხედავად მათი რეგისტრაციისა. აღნიშნული სიების საფუძველზე შედგა საერთო სია ფორმა N2 და დამატებითი სია იმ ჭაბუკებზე, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრირებულნი არიან სხვადასხვა მუნიციპალიტეტში.
3. საერთო სიის საფუძველზე სასწავლო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი იქნა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისათვის საჭირო შემდეგი დოკუმენტაცია.
 - ა) პირადობის მოწმობის ასლი
 - ბ) ოჯახის წევრების პირადობის მოწმობის ასლები.
 - გ) დაბადების მოწმობის ასლი.
 - დ) 4 ფოტოსურათი 3x4.

შეივსო სამხედრო სააღრიცხვო ბარათი.

2017 წლის იანვარ-აპრილში პირველად სამხედრო აღრიცხვას ექვემდებარება 2000 წელს დაბადებული 465 ჭაბუკი.

4. რეზერვში აყვანილია 739 სამხედრო ვალდებული.

მათ შორის:

- „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე 27 წელს მიღწეული - 522 წვევამდელი.
- სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი 166 სამხედრო მოსამსახურე.

- შსს-დან დათხოვნილი - 45 სამხედრო ვალდებული.
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან მიღებული 6 სამხედრო ვალდებული.

მოიხსნა აღრიცხვიდან და გადაიგზავნა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში რეგისტრაციის ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით - 57 სამხედრო ვალდებული.

5. საანგარიშო წელს გაცემულია 157 სამხედრო ბილეთი.
6. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2016 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გამწვევ კომისიაზე გამოძახებული იქნა 2018 წვევამდელი. გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 1065 წვევამდელი. 953 წვევამდელის დაუწყება ვერ მოხერხდა, ვინაიდან 781 წვევამდელს გადაკვეთილი ქონდა საქართველოს საზღვარი (იმყოფებიან საზღვარგარეთ). 172 წვევამდელს შეცვლილი აქვს საცხოვრებელი ადგილი და მიმდინარეობს მოკვლევა.
7. გამწვევ კომისიაზე გამოცხადებული 1065 წვევამდელიდან მიღებული გადაწყვეტილება:
 - სამხედრო ძალებში გაწვევის შესახებ - 440 წვევამდელი.
 - მიეცა გადავადება კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე - 625 წვევამდელს (ოჯახური მდგომარეობით და სწავლის გამო).
8. გადაყვანილია ქ.თბილისში ცენტრალურ შემკრებ გამანაწილებელ პუნქტში სამხედრო სამედიცინო საექსპერტო კომისიის გასავლელად 419 წვევამდელი. მათ შორის:
 - გაწვეულია საქართველოს სამხედრო ძალებში - 161 წვევამდელი
 - შეზღუდულად ვარგისია სამხედრო სამსახურისათვის - 212 წვევამდელი.
 - დროებით უვარგისია სამხედრო სამსახურისათვის - 40 წვევამდელი.
 - უვარგისია სამხედრო სამსახურისათვის - 6 წვევამდელი.
9. გეგმა-დავალების შესრულების გამო 21 წვევამდელზე გაუქმებულია გადაწყვეტილება გაწვევის შესახებ.
10. წვევამდელთა გადაყვანა განხორციელდა სამსახურის მიკროავტობუსით, (რისთვისაც გაიხარჯა 3900 ლიტრი საწვავი) და შპს „პარტიორი“-სთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული მიკროავტობუსით.
11. 2016 წელს სამსახურის თანამშრომლები 65-ჯერ იყვნენ სამსახურებრივ მივლინებაში.

მათ შორის:

თენგიზ ქიქავა - 2-ჯერ;

ხათუნა ზოიძე - 29-ჯერ;

მანუჩარ ჯიხაძე - 30-ჯერ;

გურამ თიკანაძე - 2-ჯერ;

ტარიელ დიასამიძე - 2 ჯერ.

12. ანგარიშს თან ერთვის აღრიცხვაზე მყოფ წვევამდელთა დახასიათება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფორმა N1.